




საერთაშორისო მათემატიკური კონკურსი
 „კენგურუ - 2017“
 III - IV კლასები



ჩემო მეგობარო, მოგესალმებით კეთილი სურვილებით და გაცნობებით, რომ შენ წინაშეა საერთაშორისო მათემატიკურ კონკურს „კენგურუ-2017“-ის ტესტი, რომელიც 24 ამოცანისაგან შედგება; 1-დან 8-ის ჩათვლით ამოცანები 3 ქულით ფასდება, 9-დან 16-ის ჩათვლით – 4 ქულით, 17-დან 24-ის ჩათვლით კი – 5 ქულით. გამარჯვებისათვის საჭირო ქულა არის 96! ტესტის სწორი პასუხები გამოქვეყნდება 18 აპრილს, ასოციაცია „ბალავარის“ ვებ გვერდზე; კონკურსის შედეგებსაც იქვე გაეცნობი მაისის ბოლოს, ხოლო სერტიფიკატები და საჩუქრები გაიცემა 15 ივნისამდე.
 მაშ, ასე: ითამაშე ყურადღებით – შენ მხოლოდ 1 საათი და 15 წუთი გაქვს!


სამქულიანი ამოცანები

1. პასუხებში მოცემული ფიგურებიდან რომლის ჩასმა შეიძლება ზემოთ მოცემულ ორ ფიგურას შორის ისე, რომ ორივე ტოლობა აღმმოჩნდეს?



2. ჯონი ფანჯარაში იყურება. იგი ხედავს პარკში მოსეირნე კენგურუების რაოდენობის ნახევარს (იხილეთ სურათი). რამდენი კენგურუა პარკში?

- (A) 12 (B) 14 (C) 16 (D) 18 (E) 20




3. ორი უჯრებიანი გამჭვირვალე ფირფიტის ზოგიერთი უჯრა შეღებილია შავად (იხილეთ სურათი); თუ თითოეულ ფირფიტას გადავაადგილებთ ისრის მიმართულებით და მათ დავადებთ შუაში მდებარე ფირფიტაზე(ისე, რომ იგი მთლიანად დაფარონ), მაშინ შავი უჯრების ქვემოთ აღმოჩენილი ნახატები აღარ გამოჩნდებიან, გარდა ერთისა. რომელია იგი?




- (A) (B) (C) (D) (E)

4. მარცხენა სურათზე ხედავთ სხვადასხვა ნაკვალევს. ეს სურათი გადააბრუნეს თავდაყირა და მივიღეთ მარჯვენა სურათი. რომელი ნაკვალევი დაიკარგა?



- (A) (B) (C) (D) (E)

5. რა რიცხვი იმალება პანდას უკან?



- (A) 16 (B) 18 (C) 20 (D) 24 (E) 28

6. ცხრილის უჯრებში ჩაწერილია სწორი ჯამები. რა რიცხვია ჩაწერილი კითხვის ნიშნის უკან?

	11	7	2
6	17	13	8
		?	11


- (A) 10 (B) 12 (C) 13 (D) 15 (E) 16

7. დინამ შემთხვევით გატეხა სარკე. გატეხილი სარკის რამდენ ნამსხვრევს აქვს ზუსტად 4 გვერდი?



- (A) 2 (B) 3
(C) 4 (D) 5 (E) 6


8. მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ დაგრეხილ ყელსაბაძს, რომელსაც 6 მძივი აქვს. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია ასეთივე ყელსაბაძი?



- (A) (B) (C) (D) (E)

ოთხკუდიანი ამოცანები

9. სურათზე ანას სახლს წინიდან ვუყურებთ. უკანა მხარეს ამ სახლს აქვს 3 ფანჯარა, მაგრამ არა აქვს კარი; ქვემოთ მოცემული სურათებიდან, რომელს დაინახავს ანა, თუ იგი სახლის უკან დადგება?



- (A) (B) (C) (D) (E)

10. + =



რომელი ტოლობაა სწორი?

- (A) = (B) = (C) = (D) = (E) =

11. საჭაერო ბურთები პაკეტებში ჩაწყობილი იყილება, რომლებშიც 5, 10 ან 25 ბურთი თავსდება; მარიუსმა იყიდა ზუსტად 70 საჭაერო ბურთი; პაკეტების რა უმცირესი რაოდენობა შეეძლო ეყიდა მას?

- (A) 3 (B) 4 (C) 5 (D) 6 (E) 7

12. ბობმა დაკეცა ქალაქის ფურცელი. მან ნაკეცს მხოლოდ ერთი ნახვრეტი გაუკეთა. შემდეგ გაშალა ეს ნაკეცი ფურცელი და შედეგად მიიღო ის, რასაც მარჯვენა სურათზე ხედავთ. როგორ დაკეცა ბობმა ფურცელი? (პასუხებში წყვეტილი ხაზებით ნაჩვენებია გადაკეცვის სავარუდო ადგილები)



13. ცურვის ტურნირზე თავდაპირველად 13 ბავშვი ჩაეწერა, შემდეგ კი - 19; ტურნირისათვის საჭიროა 6 გუნდის დაკომპლექტება(თანაბარი რაოდენობის მონაწილეებით); სულ მცირე კიდე რამდენი ბავშვის მონაწილეობაა საჭირო 6 გუნდის შესაქმნელად?

- (A) 1 (B) 2 (C) 3 (D) 4 (E) 5

14. სურათზე ვხედავთ 4×4 ზომის ცხრილს და მის უჯრებში ჩაწერილ რიცხვებს; ამ ცხრილში მერამ იპოვა 2×2 ზომის კვადრატი, რომლის უჯრებში ჩაწერილი რიცხვების ჯამი უდრისა 4×4 ზომის ცხრილში. რას უდრის ეს ჯამი?

1	2	1	3
4	1	1	2
1	7	3	2
2	1	3	1

- (A) 11 (B) 12 (C) 13 (D) 14 (E) 15


15. დევიდს სურს 5 სახეობის კერძი მოამზადოს გაზქურაზე, რომელსაც მხოლოდ 2 სანთურა აქვს. ამ ხუთი სახეობის კერძის მომზადებას სჭირდება 40 წთ, 15 წთ, 35 წთ, 10 წთ და 45 წთ. რა მინიმალურ დროში შეძლებს დევიდი ხუთივე კერძის მომზადებას?

(მას შეუძლია ქურიდან გადმოდგას მხოლოდ ბოლომდე გამზადებული კერძი.)

- (A) 60 წთ (B) 70 წთ (C) 75 წთ (D) 80 წთ (E) 85 წთ


16. რა რიცხვი უნდა ჩაიწეროს წრეში, რომელიც „?“ ნიშნით არის აღნიშნული?

- (A) 10 (B) 11
(C) 12 (D) 13 (E) 14



ხუთქულიანი ამოცანები


17. სურათზე ნაჩვენებია ასაშენებელი კუბიკების გროვა და ასეთივე გროვის ასაშენებელი გეგმა. ამ გეგმაზე შემთხვევით დაისხა მელანი. რას უდრის მელნის ქვეშ მოქცეული(დამალული) რიცხვების ჯამი?




- (A) 3 (B) 4 (C) 5 (D) 6 (E) 7

18. რა სიგრძისაა მატარებელი?


- (A) 55 m (B) 115 m (C) 170 m
(D) 220 m (E) 230 m



19. ჯორჯს ვარჯიში საღამოს 5 საათზე ეწყება. სახლიდან ავტობუსის გაჩერებამდე მისვლას იგი 5 წუთს ანდომებს.



ავტობუსით მგზავრობას 15 წუთი სჭირდება. ავტობუსის გაჩერებიდან სავარჯიშო მინდვრამდე მისვლას ჯორჯი 5 წუთს ანდომებს; ავტობუსი დილის 6 საათიდან ყოველ 10 წუთში დადის. ყველაზე გვიან რომელ საათზე უნდა გავიღეს ჯორჯი სახლიდან, რომ ვარჯიშზე არ დაგვიანდეს?



20. პატარა ზოოპარკში ცხოვრობენ ჟირაფი, სპილო, ლომი და კუ. სუზანს სურს ზოოპარკის დასათვალიერებლად დაგეგმოს ტური, რომლის დროსაც იგი მხოლოდ 2 განსხვავებულ ცხოველს დაინახავს. მას ტურის დაწყება არ უნდა ლომით. რამდენი განსხვავებული ტურის დაგეგმა შეუძლია სუზანს?

- (A) 3
- (B) 7
- (C) 8
- (D) 9
- (E) 12

21. ოთხმა ძმამ სულ 11 ორცხობილა შეჭამა. ყოველმა მათგანმა მიირთვა ერთი ორცხობილა მაინც, მაგრამ არც ერთ ორს, მათ შორის, არ შეუჭამია ერთნაირი რაოდენობის ორცხობილები. ისიც ცნობილია, რომ სამმა მათგანმა სულ 9 ორცხობილა შეჭამა და მათ შორის ერთმა ზუსტად 3 მიირთვა. ყველაზე მეტი რამდენი ორცხობილა შეხვდა ერთ-ერთ მათგანს?

- (A) 3
- (B) 4
- (C) 5
- (D) 6
- (E) 7

22. ზოსიამ ცხრილის ზოგიერთ უჯრაში ღიმილი („სმაილიკი“) დამალა, ზოგიერთ დანარჩენ უჯრაში კი, ჩაწერა რიცხვები, რომლებიც უდრის მოსაზღვრე უჯრებში მდებარე ღიმილების რაოდენობას (იხილეთ სურათი). რამდენი ღიმილი დამალა მან?

	3	3	
2			
		2	
	1		


შენიშვნა: ორ უჯრას მოსაზღვრე ეწოდება, თუ მათ საერთო გვერდი ან საერთო წვერო აქვთ.

- (A) 4
- (B) 5
- (C) 7
- (D) 8
- (E) 11

23. 10 ჩანთიდან თითოეულში არის სხვადასხვა რაოდენობის 1-დან 10-მდე კანფეტი; 5 ბიჭიდან თითოეულმა აიღო კანფეტების 2 ჩანთა. ალექსს შეხვდა 5 კანფეტი, ბობმა მიიღო 7, ჩარლიმ - 9 და დენისმა 15. რამდენი კანფეტი შეხვდა ერიკს?

- (A) 9
- (B) 11
- (C) 13
- (D) 17
- (E) 19

24. ქეთის აქვს 4 ყვავილი, რომელთაგან ერთი ექვსფურცლიანია, ერთი შვიდფურცლიანი, ერთი რვა-ფურცლიანი და ერთიც თერთმეტფურცლიანი. ქეთი თითო ფურცელს აწყვეტს 3 ყვავილს; იგი ამას აკეთებს რამდენჯერმე და ყოველ ჯერზე ირჩევს ნებისმიერ სამ ყვავილს. ქეთი ჩერდება მაშინ, როცა უკვე აღარ შეუძლია თითო ფურცლის მოწყვეტა სამი ყვავილისაგან. რა უმცირესი რაოდენობის ფურცელი შეიძლება დარჩეს?



- (A) 1
- (B) 2
- (C) 3
- (D) 4
- (E) 5